

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32 ტელ/ფაქსი: (0422) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერებები
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კომპიუტინგის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. მათ შორის: - სავალდებულო საფაკულტეტო კურსები - 10 ECTS კრედიტი; - სპეციალობის სავალდებულო კურსები - 145 ECTS კრედიტი; - სპეციალობის არჩევითი კურსები - 15 ECTS კრედიტი; - საბაკალავრო ნაშრომი - 10 ECTS კრედიტი; - დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა ან თავისუფალი არჩევითი კურსები - 60 ECTS კრედიტი
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> - მისცეს სტუდენტს თეორიული და პრაქტიკული განათლება კომპიუტერული ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებებში; - გამოუმუშაოს სტუდენტს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მეცნიერების სხვადასხვა დარგებში წარმოქმნილი ამოცანების გაგების, ანალიზის, შეფასებისა და გადაწყვეტისათვის; - უზრუნველყოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ შრომით ბაზარზე დამკვიდრებას ან/და სწავლის გაგრძელებას უმაღლესი აკადემიური განათლების მომდევნო საფეხურზე. - უზრუნველყოს მრავალმხრივი განათლებისა და ინტერესების მქონე სტუდენტთა მისწრაფებების დაკმაყოფილება პროგრამის ფარგლებში არსებული თავისუფალი კომპონენტებისა ან/და დამატებითი სპეციალობის საშუალებით.
სწავლის შედეგები	<p>აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> - თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის და აპარატული საშუალებების კონსტრუირების ძირითადი პრინციპების, ელექტრონული გამომთვლელი მანქანების არითმეტიკულ-ლოგიკურ საფუძვლების, არქიტექტურის ზოგადი კონცეფციების, პროგრამული პაკეტების მათემატიკურ-ალგორითმული უზრუნველყოფის, დაპროგრამების ენების, ლოკალური და გლობალური ქსელების პროგრამული უზრუნველყოფის ცოდნა; - კომპიუტერული ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის ექსპლუატაციის, საინფორმაციო და ტექნიკური უსაფრთხოების ცოდნა . - კომპიუტერულ სისტემებში წარმოქმნილი პრობლემების დიაგნოსტიკისა და აღმოფხვრის ზოგადი მეთოდების ცოდნა; - კომპიუტერული ტექნოლოგიების თანამედროვე საზოგადოებისა და მეცნიერების განვითარებაში გაცნობიერების უნარი. <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - დასახული მიზნების მისაღწევად, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მიღებული ცოდნის გამოყენება. - გადასაწყვეტი პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების შერჩევა და ანალიზი მათი პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით.
შეფასების წესი	ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A, B, C, D, E, FX, F. A – ფრიადი 91-100 ქულა ; B – მაღლიანკარგი 81-90 ქულა ; C – კარგი 71-80 ქულა ; D – დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა ; E – საკმარისი 51-60 ქულა ; FX – ვერ ჩააბარა 41-50 ქულა . სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის

	უფლება აქვს; F – ჩაიჭრა 0-40 ქულა . სტუდენტს საგანი აქვს თავიდან გასავლელი.
საკონტაქტო პირი	გულადი ფარტენაძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: (+995) 597584860; ელ. ფოსტა: guladi.phartenadze@bsu.edu.ge